

1914

№ 37

7 ქრისტემონის, 1914 წ.

სამართლი  
მისამართი გადახდა

ნლიური ფასი



აოველ კვირეული საზოგადო-მკონტ.


ცალკე ნომერი 10 კავ.

მისამართი და სამინისტროს შურინალი

რედაქცია ლია 9—3 საათაშდე.

ჩელიფაზი გვსახე

მისამართი: თბილისი, გაბაევსკის ქ. № 3 რედაქცია „კლდე“. დეპარტამენტი: თბილისი კლდე.



სტამბოლი. აია-სოფიის დიდებული ტაძარი, ბადაქშეული მეჩინალ.

ს ა რ ჩ ი ვ ი:

1. გადასახადები—რ. გ-ესი. 2. სთხევის რთული საქართველოს კიბინაძისა.  
 3. გარმანია და გერმ.ნეფელი. —დ კ-ძისა. 4. მორგელა საღმობანის (ერთი). — Can-  
 did-ისა. 5. პრეს. 6. უგრნალ-გაზელებიდ. 7. ერთგნელი სიმტკიცი. —თ. ლომნ-  
 ცისა. 8. უკუსტი. —ი. შისა. 9. ბიბლიოთეკათავისა. —ს. გარეკაზელენისა, უკუსტი.

## გ ა დ ა ს ა ხ ა დ ე ბ ი

უკუსტი სახელმწიფოს მოქალაქემ იცის  
 რომ გადასახადი პირდაპირი და ორაპირდაპირი ის  
 ორი ძუძუა რომლითაც იკვებება სახელმწიფო მე-  
 ქანიზმი. თუ სახელმწიფოებრივი იდეა მისიალებია,  
 მისალებია მისი ფორმებიც და ამ მხრივ საზოგადოთ  
 გადასახადებს არავითარი დაპრკოლება არ აღემარ-  
 თება; მაგრამ მთავარი სიკითხი იმაშია, თუ თვით  
 ფორმები ამ გადასახადებისა რა კონკრეტულ სახეს  
 იღებენ ხოლმე. სხვა და სხვა სახელმწიფოში ეს  
 ფორმები სხვა და სხვა დროისა და ხანის მიხედ-  
 ვით. გადასახადები არიან უფრო სამართლიანიც და  
 ნაკლებ სამართლიანიც; არის ისეთი გადასახადი,  
 რომელიც მთელი თავისი სიმძიმით აწევება მდაბიო,  
 შშრომელ ხალხს, გლეხს, მუშას, როგორც მაგალ.  
 მიწის გადასახადი, ან არაპირდაპირი გადასახადი  
 პირველ საქოროებათა დასაკმაყოფილებელ საჯნებ-  
 ზედ—პურზედ, მარილზედ, წუმწუმასა და ნავთზედ  
 და სხ. და სხ.. არის ისეთებიც, რომელთაც იხდის  
 შეძლებული ნაწილი სახელმწიფოსი; მაგ. გადასახა-  
 დი ძვირფას საქონელზედ, ან გადასახადი შემოსავ-  
 ლის მიხედვით და სხ. უკუსტი ეს გადასახადები სხვა  
 და სხვანაირად არის განაწილებული სხვა და სხვა  
 სახელმწიფოში, მაგრამ საერთოდ უნდა ითქვას,  
 რომ დღევანდელ კაპიტალისტურ სახელმწიფოებში  
 ეს გადასახ დები ერთობ უმართებულო.

საქვეყნო ომმა, რომელმაც ერთის მხრით ძი-  
 რიანად შეარყია მთელი მსოფლიოს მეურნეობა და  
 ამით საშინლიდ გააძვირა უკელაფერი, მეორე მხრით  
 გამოიწვია უსაზღვრო ზრდა სახელმწიფოებრივ ხარ-  
 ჯებისა. სიღდან უნდა დაიფაროს ეს ხარჯები, რომ  
 სახელმწიფოს შექანიზმი სრულიად არ დარღვეს და  
 არ განაღვეულდეს?—რასაკირველია ხალხის ჯიბი-  
 დან. და აი, ჩვენ თვალწინა ხდება ის განუზომელი  
 ცვლილება, რომლითაც უკუსტი სახელმწიფო სკდი.  
 ლობს გაიძლიეროს და გაათკეცოს შემოსავლის  
 რაოდენობა. უკუსტი ამ ცვლილებაში პირველი ად-  
 გილი უჭირავთ გადასახადებს, რადგან უკუსტი სხვა  
 გვარი სახსარის გამოძებნა და გაუმჯობესება ომის

დროს ძნელიც არის და აგვიანებს კიდეც ფულის  
 შემოსავლას.

გერმანიამ გააწერა ქვეშევრდომთ ერთდროუ-  
 ლი სამხედრო გადასახადი შემოსავლის მიხედვით,  
 ინგლისმა და საფრანგეთმა ჯერ მარტო სესხებს მი-  
 მართეს და რესეცტო—ორთავეს.

ერთ-ერთ წერილში ჩვენ გვქონდა აღნიშნუ-  
 ლი, რომ ისედაც მრავალ გადასახადს, განაპირა  
 ადგილებში ემატება ერთი სრულიად უცნაური გა-  
 დასახადი, რომელსაც სახელმწიფოს აძლევდა ასკის  
 მონოპოლია, ის ნაწილი სახელმწიფოსი, რომელიც  
 ითვრცებოდა და ამით ზრდიდა სახელმწიფო სალა-  
 როს, დღეს, კანონის ძალით, გამოფხილდა და  
 შაშასადაცე შოთა თეიო ამ გამოფხილებით, მოი-  
 გო იცითაც. რომ არაუზედ დახარჯული ფული შინა  
 რჩება; მაგრამ სამაგიდროდ ის შილიარდი მაჩერი,  
 რომელსაც იხდიდა „მთურალი ნაწილი“ სახელმწი-  
 ფოსი, უნდა გადახდეს ფხიშელსა, ე. ი ავტონომის  
 ვალი უნდა გადაიხდოს კარვი ზნის პატრონმა.

ეს უცნაური ვალი, რასაკირგელია, მძიმე  
 ცეირთად დააწვება დანირჩენ მოსახლეობას, რომ-  
 ლის უკუსტი გადასახადებიც ნატულობებ ბევრად და  
 ახალიც ბევრი ემატებათ.

მაგ. უკუსტი იცის თუ რა შეირი ჯდება მა-  
 კონლის გადატან-გადმოტანა რეინის გზით ან სხვა  
 რომ საშუალებით. უკუსტი იცის ის ვანსხვავება,  
 რომელიც არსებობს საქონელზედ იდგილობრივ და  
 სხვა რაიონებში, საკა საქონლის ფასს ემატება  
 გზის ფასიც, გარჯა აუარებელი სხვა ჰედნადებისა.  
 კომისიონერების, ფატჩების, კანტორების და სხ.  
 ხარჯებისა; რაღა თქმა უნდა, გზის ხარჯი იმდენად  
 დიდია, რამდენსაც შეტს დროსაა საქონელი გზაში  
 და რამდენსაც შეტს მანძილის გაიყლის. და აი სწო-  
 რედ ამ უმწეო ადგილისა ხედება იხალი სარეინიზტო  
 გადასახადის ურთ. ჩველი გადახდულ საქონელი  
 ემატება ხარჯი, ე. ი. საქონელი თუ, კოქვათ, ად-  
 გილობრივ მანეთი ლირდა და ასი ვერსის მანძილ-  
 ზედ მანეთი და ერთი შაური და ათასი ვერსის მან-  
 ძილზედ ექვსი აბაზა, — დღეს შეიძლება იდგილობ-  
 რივ ისევ მანეთი ლირდეს, ასი ვერსის სიმორეზედ  
 ექვსი აბაზი და ათასი ვერსის სიმორეზედ უკვე


ბანეთნახევარი. ამ რა შედევი მოჰყვება ახალს კანონს. ასეთი ხარჯი რომ იშეიათად საბმარ საქნებზედ იუს და თავისთვად ძვირიდ ლირებულზედ, როგორც მაგალითად მაშინები. სათამ. შოები და სხ. კიდევ ორაფერი, მაგრამ როდესაც მას იხდის პური, ფქვილი, შაქარი, ნავთი, წუმწუბა, მარილი და სხ. — ეს გადასახადი აუტანელი გაიდება.

რესერტში ამ არის თითქმის ისეთი აღვილები, საცა უკელი იმ პირებელსახმარ საქონელს გადაზიდვა გადმოზიდვა არა სჭირდებოდეს; ბევრგან რამდენ ჯერმეც და იმ სწორედ იმ გადაზიდვა-გადმოზიდვა ზედმეტი ფასი საქონელისა. მაგალითად, მიერ-კავკასიაში შემოძველ პური და ფქვილი, შაქარი და სხ ამათი ფასი იოწევს ათი პროცენტით ვსტკვათ თბილისში, მაგრამ თუ თბილისიდან ვივიდა თელავში, სიღნალში, გორში ან სხ. კიდევ უფრო იმატებს ფასი, ჩადგან რეინის გზის გარდა, სხვა გზით საქონელის ზიღვასაც ეკისრება იხარი ხარჯი. მიერ-კავკასიიდან გადაჭი ნავთი და ამ ნავთსაც ეწერება ახალი საგზო ხარჯი, გარდა თვით ნავთზე გაწერილ დიდ ხარჯისა აქამდის და ახლაც მომატებულისა, ასე რომ ნავთიც უნდა გაძეირდეს მიერ-კავკასიაში 10—15 პროცენტით და რესერტში 25 პროცენტამდის. მავე მდგომარეობაშია შეშა, აგური, ნიხშირი და სხ. რომელთაც თანაირი გადასახადი უნდა დაემატოთ იმის გამო, რომ მათი გადაზიდვაც მეტი დაჯდება. უკელი აქ ჩამოთვლილ საქონელში ყველაზედ ძნელი გადასახადი, რასაკირველია, პურშე და ფქვილზე, როგორც უპირ-

ველის საკიროებაზედ, და სწორედ ამ აუცილებელ საქონელს ედება ზედმეტი ხარჯი: წისქვილში მიტანილ ხორბალს ედება ფურზე ა კვერცი, წისქვილიდან გამოტანილ ფქვილს ფურზე 4 კაპ. ახლა საგზო ხარჯები \*) და უპირველეს უკელებელი, რომლითაც თითქმის განსაკუთრებით იკვებება ხალხის უმრავლესობა იქნება გადამზრდელი თითქმის მთელი ხარჯების სიმძიმისა, რადგან არც ერთი საქონელი არ არის საჭირო ისე როგორც პური და არც ერთი არა მოძრაობს იმდენს არც რეინისა და არც სხვა გზებზედ. ეს გადასახადი მთთ უფრო უსამართლო იქნება, რომ იკი მთელი სიმძიმით დააწევდა გლეხს და მუშას, რადგან შეძლებული ნაწილი, პურის გარდა სხვა ბევრი სანოვაგითაც გამოიკვებავს თავსა და სახოგადოთაც გაუძლებს ცხოვრების გაძვირებას. სოფლის მეურნენი და მუშები კი, რომელნიც უდიდეს უმრავლესობას წარმოადგენ რესერტს სახელმწიფოში, სხვა გადასახადებითაც მძრებელ დატვირთულნი, ვერ გაუძლებენ ამ ხარჯებს და აქამდისაც ეკონომიკურად წელში გატეხილნი, ოშის შედევ უარეს მდგომარეობაში ჩავიყდებიან.

მაშ სად არის ბსნა? რასაკვირველია, საუკეთესო საშუალება ხაზინის შევსებისა არის — ეკონომიკურ ძალით იღორძინება და განვითარება, რასაც სახელმწიფომ ყოველგვარიც უნდა შეუწყოს ხელი

\*) ეს ცხრდები შოტლანდი „რუს. გედომასტის“ № 272.



საშინელი სურათი გერმანულ წყლის-ქვეშ მივალი ხავებისა ვილჰელმს გაფენის ნავთსადაცემურში.

ეხლივე, რომ გაუძლოს ხალხმა კრიზისს, მაგრამ ვიდრე ეს გრძელი გზა გამოიყენებდეს ბიუჯეტს, საჭირო იყო შემოღება ისეთის გადასახადებ სა, რომ მელნიკ გაწერილ იყვნენ შეძლებისა და შემოსავალის მიხედვით. ვინც განსაზღვრულ ნორმაზედ მეტ შემოსავალს იღებს, ას უნდა იხდიდეს მეტსაც, რადგან სახელმწიფო მას აძლევს ყოველგვარ უპირატესობას და ხალხი კი ყოველთვის სიღარიბესა და უუფლებობაში ლევს სულსა. ჩვენის ღრმა რწმენით, მარტო ისეთს სამართლიან გაწერის გადასახადებისას შეუძლიან წამოაყენოს ფეხზედ შელგაზედი მეურნეობა ხალხის უმრავლესობისა, რომელიც შეადგენს თვით სახელმწიფოს უდიდეს ბურჯასა.

რ. 3

## სოჭების როლი საქართველოში

უკანასკნელ დროს სომხურ პრესაში ნამეტნავად ხშირად იმერრებენ ერთ აზრს, რომლის სიყალშედლებით ცხადია. პირველი დაუმილევი გამოლაშენება ამ სფეროში ეკუთვნის ბ-ნ იშხანიანცს. ეხლა მას ბერძი სხვაც აპყა, ზოგი ცხადათ, როგორც მაგალითად „კავკ. უურნალისტი“-ის თანამშრომელი, ზოგი კი „დიპლომატურად“ („კავკ. სლოვო“-ს პუბლიცისტები).

ეს არის აზრი სოჭების ვითომდა ეკონომიკურ და მრეწველობით პირველობაზედ იმიერ კავკასიაში. ჩვენამ, ამტკიცებენ ისინი, კიდევაც შევითვრეთ გვროვნული ეკონომიკური წესი და ქართველები ჯერ ფეოდალურ კანონით ვერ გამოსულიან. — „ჩ მოგვეცალონ და დაგვანებონ ნებით ბურთი და მოედანი — სულ ერთია, ჩვენ დაგვრჩებათ.“ (იხ. იშხანიანცის წიგნი).

ასე რომ ყოფილიყო საქმის ვითარება, მოქალანში ამიერ-კავკასიის ბატონებად და გამგეთ მართლიაც სოჭები გახდებოდნენ. კანონი ისტორიის ასეთია — ჩამორჩენილი ხალხი გზას უთმობს წინ წილების და მისი ეკონომიკური მოხარუე ხდება.

საბერძნეროს ჩვენი ქვეყნებისათვის, ეს სიმართლეს მოქალებული და იმის მაგიდი რომ ჩვენ გულშემაც კივარს და ზარღულტურიან მუხმადუბისაგან დაარსებულ სამოქახეს ვუკრიდეთ — ბეჯითად უნდა მოგვითოთ ხელი მუშაობას და ჩვენი ხალ-

ხის ბედი ისევ ჩვენ განვაგოთ და გავაუმჯობესოთ. აზრი სოჭების ეკონომიკურ და მრეწველობითი კეთილდღეობაზედ სწორედ მდებარე არის „შემუდარი“, რამდენადაც ეს საჭირო ჩრდილი სხვა და სხვა „დიპლომატური“ მიზნებისათვის, რომელიც შემდეგ შევეხებით, ეხლა კი გავსინჯოთ თუ რაში მდგრადი მოყვანილი აზრისა.

„კლდე“-ს № 34 ავტორი წერილისა — „ომი და ქართველ-სომხთა ურთიერთობა“ სრულის სიმართლით ამტკიცებს რომ „თიდი მასა სომხის ხალხისა სიღარიბეში და საკოდაობაში ლევს სულსა“. კლდობასთვის, ვისაც კი უნახავს მათი სოფლები და მათი სოფლის ხალხის ცხოვრება, ცხადია ეს. რუსეთში თუ ასე, წარმოიდგინეთ როგორი უნდა იყოს მდგრადი სოფლის ხალხისა თამალეთში რასაცირველია სომხის პუბლიცისტებმა ძალიან კარგად იციან ეს ყელაფერი.

სომხის ერთ არავითარ ეკონომიკურ ძალით და იარაღით არ არის აღჭურვილი — ძალად თავის დაბრმავებაა ამის მტკიცება. ერთი ჯგუფი გასუკემულა ვერ გააძლობს მშეგრთა თკეანეს.

არამიანცების და მანთაშოვების ფული მრავერია, თუ ხალხი ლატიკია და ადამიანურად ვერ ცხოვრებს. ისჯერ მეტიც რომ იყოს მდიდარი სომხები, ეს მინც არ გააძლიდორებდა სომხის ხალხს თუ ის არ იდგია გზას ეკონომიკურ და კულტურულ გაუმჯობესებისას. მაშინაც იქნებოდა ჯგუფი მდგრადითა და აუარებელი რიცხვი ღარიბ-ღატაკოა და ეკონომიკურად უძლოურთა.

ხალხის ეკონომიკური ძალა დამყარებულია მეურნეობის, მრეწველობის და ვაჭრობის განვითარებით. საკმაო მდიდროა მხოლოდ ის ხალხი ჩაითვალისა, რომელიც მართლა მოწადინებულია დამუშავება, რომელიც ბუნებაშ მის წინ დაფანტია.

გავსინჯოთ თუ როგორ და რაში გამოიხატება სომხის ერთ ეკონომიკურ კეთილდღეობა და პირველობა.

მეურნეობის მხრივ არა თუ წინ წარმულიად, არამედ სხვებზედ ჩამორჩენილად უნდა ჩითავალოს სომხობა კავკასიაში გრძელებულ კოლონისტებს რომ თავი დავანებოთ, რომელებმაც საუკეთესო მანქანები შემოიღეს წვენში, ჩვენ ქართულ სოფლებშიც. როგორც ქუთაისის, აგრედევ თბილისის გუბერნიაში აც ბევრად უკუთ მიღის მეურნეობის საჭმე. გასაკირველიც არ არის: ჩვენი ხალხი საუკუნოებით შეთვისებულია მიწის დამუშავებას და კარგ მოხავას.

• ლიან ღრულებში სკეოვრობს. — უკანასკნელ ღრო  
ში კი (შეგვიძლიან სიმოვნებით იღვნიშნოთ) ხუ-  
რად ტენიურ გაუმჯობესებასაც შეხვდებით  
სიფლებში. — ჩამორჩენილი ევროპიელ ხალხებს  
და რუსებთაც, გარეშე პირობათა ზევავლენით, ჩვენი  
ხალხი მაინც ამ მხრივ კარგ და სწორ გზას იღვია  
— მონდომებული მიწის შეძენას და მის დამუშავე-  
ბას, ის დად ნაციონალურ საქმეს აწირობო გა.

მრეწველობა და ტენიური განვითარება კუ-  
კასიში ჩვენის ახრით ჯერ აკვიდანიც არ აძლიე-  
რო. ეს ვევდერთელი სიძლიდრის წყირო იგერ ასი  
წლის განმავლობაში ხელუბლებლად ჩაიყა. მაღა-  
რობა, საზღაპრო მინარე „მხეოუნაბავისა“ არ  
იყოს, მიწის გულში მიღუმებულა და იმოოინდიც-  
რებს უდის. წყალყარცხნილები მოღობს ცენტის  
ძალის კლდეებზედ იხეოჭებენ და პატარი იფრე-  
ცენ; გხები ან არ არსებობს და ან გაუვალელია ის,  
რომ სიუჟეტი კი იმა ქალაქებიც მართვლის მიერთ  
ცხოვრობენ.

მხოლოდ ის არის დამუშავებული და გამოყე-  
ნებული, რისიც მიუსივება და შეგდება ფიზიკურიად  
შეუძლებელი იყო. ისეთია ბაქოს ნავთა, კიათურის  
შევი ქვა და სხვა რამდენიმე მავალითი ბუნების  
სიძლიდრის უტილიზაციისა. — იმათშიც უცხოელებს  
ეუფრის ნახევარზედ მეტი ნამდვილი ტენიური  
მუშობა.

პირდაპირ გაუგებარია, რაზედ იმყარებენ ბ.ბ.  
იშხანიან ცები ასეთს ვაბედულ თპრიმიზმს. მათი  
კულონთი პოლაპირაკეთ უკან კრუპის, ამსტრანგის,  
ვაკერსის ქარხნები, ნიაგარის კუტილიზაცია და პა-  
ნამის არხის გაუვანის საქმე მაიც უნდა პქონდეთ-  
ნებავი. რაში გამოიხატა სომხების მაღალი ტენი-  
ური და ეკონომიკური განვითარება?

ნერიავი მათ, ვისაც ბოზარჯიანცის თამბაქოს  
ქარხანა მიუწვდომელ ტენიურის იღვალად ვიაჩინიათ!  
ჩვენ ნუ წავდაძავთ ამგვარ თპტიმისტებს... მრეწვე-  
ლობითი კარგიდ მყოფობაზედ მაშინ კილაპირიკოთ,  
როდესაც ერექტონად ვაჭუევთ ჩვენ მდინარეებს,  
რკინის გნებით დავხლიართავთ საქართველოს, ქარხ-  
ნების შენობებით ივავსებთ მთებს და მინდვრებს.  
შორს, შორს არის ეს დრო და არც ის ვიცით შე-  
ვიძლებთ თუ არა ამას, ვეცადოთ კი და გვახსოვ-  
დეს რომ ნამდვილ მონდომებას ვერაფერი შეულო-  
ბავს გზასა.

დარჩ მხოლოდ რთი მხარე ხალხის ეკონო-  
მიურ ცხოვრებისა რომელიც უნდა გვისინჯოთ.  
ვაჭრობის ნუკი სო ხელი თავში აფით ბუნე-



არაბული დერვიში ოსმალეთში.

ბისაგანა იქვთ მინიჭებული. — რიცხვით უპირატესო-  
ბა ამ სფეროში კავკასიელ ხალხთა შორის მათ  
ეკუთვნის. — რასაკვირველია ძნელია ქბლავე გადაწ-  
კვეტი იმისა, თუ როგორ იქნება საქმე მომავალში,  
როდესაც კავკასია სრულებით შეიცვლის ფიზიო-  
ნომიას და მრეწველობის ერთ-ერთ ცენტრად შე-  
იქნება რუსეთში. — ეხლა კი სომხები სხვებშიც უფ-  
რო არიან მონდომებულნი ამ სფეროში მუშაობი-  
სა.

მაგრამ აქაც მოიპოვება ბევრი რამ დასაფიქ-  
რებელი მათი პუბლიკისტებისათვის, რაღანაც ეს  
თვისება კარგსაც მთასწავებს და ავსაც.

სომხების ვაჭრობა არის კომისიონერობა, არის  
გადაუიდვა სხვისაგან ნაყიდ ნივთებისა. იმაზედ შე-  
იძლება მიპასუხონ რომ ხაერთოდ ვაჭრობა არის  
ფართოდ დაყენებული კომისიონერობა. დიან,  
მაგრამ განსხვავებაც იქაშია რომ მაგალითად ინ-  
გლიცის ვაჭრობა არის გაყიდვა-გადაყიდვა ინგლისი-  
სავე ნაწარმოებისა და მართლაც შეიძლება ინგლი-  
სის ხალხის ეკონომიკური ძალა ვაჭრობით გაზო-  
მოს. ისეთივე გაზომვა მავალითად ებრაელთა ეკო-  
ნომიურ მდგომარეობისა შეცდომა იქნებოდა. რუ-  
სეთში ბევრის ადგილის პურის საზღვარ-გარედ გატა-  
ნა ისე ვერ მოხერხდება რომ პურის ებრაელ კუ-

სონარების ხელში არ ვითაროს. განა ეს ყბრაელების ეკონომიურ ძალის და განვითარების ამტკიცებს?

ერთ მშვენიერ დღეს ამ აღგილს სახელმწიფო რომ საჭირო დაწესებულება დაარსოს, ან თეოთონ პურის გამყიოველებმა რიმე ამხანაგობა შეადგინონ და თვითონ მიაწოდონ პური ნაეთხადგურებში საზღვარ-გარეთელ მყიდველთ—კომისიონერების კეთილდღეობას ბოლო მოედება. მიწის დაშუმვებაც რომ ებრაელების ხელში უმჯობესობა, ებრაელი ხალხი ამგვარ გაუმჯობესებით გაყიდვის საქმისა, მხოლოდ ფეხს გაიძიგრებდა. მაგრავ სიჭრე იშაშია რომ პური რუსების ხელშია. ამ იშითი ასეს ნება ის სიტყვება, რომელიც წამოსცდა დეპუტატ ვინავერს საგლეხო ამხანაგობათა შესახებ: „**ЦЕ ТАКИЙ ПОГРОМЪ!**“

ჩვენა გვვონია რომ ამ შემთხვევაში ფრაზგული ფრაზა: „*Comparaison n'est pas raison!*“ არ ითქმის. ეს შედარება ებრაელთა კომისიონერებისა და სომხების ვაჭრობისა კავკასიაში მარტო შედარება კი არ ირის—არის გამოაშვარივება მათი ვაჭრობის ფიზიონომიისა და მისთვის ნამდვილი სახლის დარქმევა ამ ფიზიონომიის ერთგვარობა ხსენებულ ხალხებისა დამყარებულია მათ ბედის ერთგვარობაზედ. ორვე გაფანტულია სხვა ხალხების შორის და ორივე მხოლოდ ზოგიერთ ქალაქებში თუ წარმოადგენს უმრავლესობას მცხოვრებლებისას.

**ბ.ბ. იშხანიან კუნძი ამ ერთგვარობაზედ კარგად უნდა დაფიქრდნენ.**

ვიმეორებთ, კავკასიის ეკონომიური და მრეწველობითი განვითარება ეხლა იწყება მხოლოდ. ეჭვი არ არის ეხლანდელი ომი მძლავრ იმპულსიდ იქნება ამ განვითარებაში და დააჩქარებს ზრდას კავკასიის ეკონომიურ ძალებისას.

ჩვენ ვუკიტობთ რომ ბუნების სიმდიდრე ამ მარქში ყველასთვის საყოფა. საჭირო მხოლოდ კველამ შეიგნოს რომ წარმევვით პოლიტიკა ებლინდეს დროში არც მძლავრ უწოდებული სიკეთებს და როდესაც ამ გზის პატარა ხალხი ადგება, ის მათებათიკური სისწორით იშადებს შავს დღეებს.

ამიტრ-კავკასიის დიდი შომეცალი განხორციელდება რუსეთის მხრუნველობის ტკება. რუსეთს უკალია ბევრად ააჩქოროს მისი განხორციელება, რაც რასიკვირველი იმპერიისათვის მხოლოდ სასურველი და ჩარგებელი იქნება. მკვიდრი ცხოვრები კი ამიტრ-კავკასიისა კარგად უნდა იყვნენ გაცნობილი იმ საზღვრებს, რომელთა გადაბიჯება აუცილებლად გამოიწვევს უკანასკნელებას და შეტაკებას.

ერთა, როდესაც კველი ერთი მისწრაფებით უნდა იყოს გაერთინებული, მტერი მოიგერიოს და ჩვენ შებრძოლო გაუადვილოს მოქმედება, იშხანიან-ჩვენ შემოლაშერება, რადც სასაკილო, სასიცრებული გამოლაშერება, რადც სასაკილო, სასიცრებული და გაუგებარ დისონანს წარმოადგენს. ამ დროს არც კი ღირდა პასუხის გაცემა, ერთი რამ რომ ამ იყოს ამ გამოლაშერებაში საყურადღებო:

**აშერგა, სკლილობენ სხვა ვიდაცა შორეული დააჯერონ, რომ კაცებისიში მხოლოდ სომხები წარმოადგენენ სანდო საძირკველს მომავლისათვის. ვინ იცის, იქნებ გეორგ მილიუკოვი აღმოჩნდეს კადენ საღვე?**

საბედნიეროს, სამდროისო ზომით რომ გავტომოთ, რუსეთი ცხრა მთას იქით აღარ არის. იქაც ბევრს გვარიანადა იქვს წარმოლებენილი ჩვენი საქმეთა მსვლელობა. იშხანიან კუნძის გამოლაშერებას და აზრს იქაც ნამდვილ ფასად დააფიქრდენ.

**ბ. კიჭინაძე.**

# მორეული სალმობანი



კურტ გვ. 1914 წ. 1

ჩე! მრისანე ოქანე ქვესკელთ რახტით არღვევს ზეირთუნს;  
ბნელი სულნი საყვირს სუმენ. ზე ასწევენ არწივის ფრთებს,  
და, ვით სასძლოს ჯერის წინ კდება-მოსილს, ნაშს და მორცესა,  
ისე რთავენ თეთრ არშით გადმოკადულ მძრწოლავ კონტას,  
აირია ცა და მიწა, გრიგალი ჰქრის, მაგ ბნელდება,

გვირგვინოსანთ გვირგვინობა სკვიპტრის მსხვრევით გვირგვა-ნდება,  
თეთრ კაბოსან ჸალწულების სისხლი მოსქეფს, ლვარად სკლება  
და უდაბნოს ცის ურემლსავით უნაყოფოდ იყარგება.

ვით მგლოფარე ახგელოზი მეც ვერებ ვარსკვლავთ უვავილებსა,  
თან მოვთქვამ და თან ვატირებ ჩემს ოცნების ფერიებსა.

ველარა ვჭვრეტ განთიადსა ვარდის ფერად იცისკრებულს,  
ვერც თუ მორცხვად მომლიმარე მოციმუმე მის ცის კრებულს.  
სდუმს ბუ ბედი მირად კრული, ჩემს თხოვნასა არად იღებს,  
თვითონ მუნჯი მეც მამუნჯებს, ხან თვის ხმაზე დამაკიცლებს.

ილარ ვიცი, ვის მიგმართო? ილარ ვიცი, სად წავრდე?

ტყვედ-ქმნილების ჯოჯოხეთის ცუცხლი გულზე წავიკიდე!  
უხმოდ ვამცნევ მცრემლავ ვარსკვლავთ გზა გამიხსნან შშობელ შხარის,  
შამცნონ, რას იქს! მისი ბედი წყლულის ბეჭდათ გულზე მაზის!

ჰგლოვობს? კვალად ბორკილშია? ან ყრუდ ისმენს ზეცის ქუხილს?  
თვით მწუხარე არად იმჩნევს მთელს მსოფლიოს მოთქმა-წუხილს?

სიზმრად იყო, როს შეესმა დრტვინვა შპაგი, შესაზარი?

უხმოდ დარჩა, არად იღო ქვეყნის ნგრევა და ზანზარი?

ან იქნება ისიც ალსდგა, ოქროს ზოლებს ცაში ავლებს  
და მოქნილი საკვეთელით ჩემს ოცნების აქანდაკებს?

ან, ვინ იცის, სიზმარში მყოფს წაუშალეს ეშის ლიმი  
და სისხლ შეთხრილ გულისპირზე ჩაუმწერიეს სევდის ლილი?

სათნოებავ, სათნოებავ! განესვენე მშეიღ სარეცელს,

თუ რომ მართლა მშობლის გული მოუსპია სიკვდილის ცელს!

მიგრამ არა! რას მიქვიან მუხთალ ბედის კალმის წერა?

ჩემს წინაპართ ფერფლშა შეპჭნა საშობლოს ცა და მისი კერა!

მწამს, რომ ისიც ლალიდ მღერის ვითა გედი თეთრ ფრთა-ყელა,  
და შეიღ ფერად ცისკროვინებს მის გვირგვინის ცისარტყელა!

Candide.

ბრიუსები.

10 დეკ. 1914 წ.




# გერმანია და გერმანულები

I

დღეს ბევრ რამეს ლაპარაკობენ გერმანიაზე. მტრულმა განწყობილებაშ უკანასკნელ გათხხისირების წერტილი მდე ჩამოიყვანა გერმანია. დღეს სიტუა „გერმანული“ საშინელების შემცნებადაა მიჩნეული, ბარბაროსობის და უსამართლობის სინონიმიდ. გაზეთების ფურცლებსე ხომ ათას რამეს კითხულობთ გერმანულთა სიმხეულე და თითქმის მართლაც არის ეს, მაგრამ ისე მოსჩანს, თათქმა ყოველ ბოროტების ბორიზონტზე მხოლოდ ერთ გერმანიას აუგია თავისი რკინის სამეცე, საღაც გაბატონებულ უხევ ძალის შიშისა და ზარის ფრთები გაუშლია. პირდაღრენილი 42 სანტ. ზარბაზნეპი, — ის თერმე ის კულუტი სიმფონია, რომლის ნაწინაში იწრთობოდა დღეს წამოქმნილი და თავით ფეხამდე იარაღში ჩამული საზარელი ტევტონი ამას იძახიან და ამოწმებენ სამხელო პირნი, ამას იძახიან და ამოწმებენ მშვიდობისანი მცხოვრებნი, ამას იძახიან და ა'ოწმებენ თვით მეცნიერნიერნი და ფილოსოფოსნიც კა, რომელთათვისაც, ეროვნება და საშობლო უფრო პირობითი ტერმინია, ვიდრე ეს უბრალო მომაკვდავთა აქვთ წარმოდგენილი.

მერე და საიდგან წარმოსდგა ეს ზიზღი? რომ ამ კითხვაზე ცუპასუხოთ, სჯობს, ჩავიკეთოთ ობიექტივობის ფარგლებში და ეხლავე განვატადოთ, რომ ჩვენთვისაც, როგორც კველა კეთილ და სინდისიერ, მთაზრებათვის, ამა თუ ის ერის ისტორია არ წარმოადგენს დანაშაულობათა ქსელს, ხოლო თვით ეროვნული სული აულავმავ ძალმომრეობას. ეს თვით ბოროტებაა. ამ პრინციპით ხელმძღვანელობა სახელმწიფოებრივი ივაზაკობაა და მეტი არაფერი. არც თუ საქმე პირად სიმპატია-ანტიპატიას შეეხება. თუ რამე ჩვენ მაგვაჩნია ბოროტებად, მისი ღირებულება ყოველგან ერთგვარი უნდა იყოს, დღეს შურდული გატყორუნილია გერმანიისაკენ, მაგრამ აქ თვით გერმანიაცაა დამნაშავე, ვინაიდან იგი გაუმაძლრობას და ძალმომრეობას იჩენდა მხოლოდ ბაზრების დასაპყრობად, ვაჭრობა-მრეწველობის ხელში ჩასაგდებად. მაშასადამე, ის გოლითო, რომლის წამოქცევა სურო დღეს, ხარტ გერმანიის მილიტარიზმი კი არ არის, არამედ საზოგადო მეტოქეობა, რომლის მფარველია საზოგადო მილიტარიზმი გამოდიოდა. ისტორიაში

ორ იცის დედანაცვლობა, პირიქით იგი ყოველთვის მისი მფარველია, ვინც შეჩეობას და სამოგრეს გამოიჩენს. გამარჯვებულს აქვს უფლება უკუცხლისა, სუსტი უნდა გავქრეს, ის მისი ბრნებივა კინონი, რაც დარვინის იქეთ ასევემოგრეს უწყებულის ფანანად იღიანებულ იქნია. და ის გერმანიის დანაშაული სწორედ ეს ძალადობა იყო. გერმანიის სულ ნორჩი სახელმწიფო. ის უნდა დავიკოჩყოს, რომ იგი არსებობს პოდორი ფაქტორი, თითქმის გუშინდელი დღის აქეთ; დიას, სწორედ გუშინდელს იქეთ უწყებენ მას ანგარიშს, უორემ ამ ასი წლის წინადან მის ეროვნულ მისწრაფებას თუ სავა ერთად-მი სიმპატია-ანტიპატიას თითქმის ყურადღებას არ აქციებდნენ. მაგრამ დაუღილივმა მუშაობამ, იღიერ-მა ენერგიამ იგი უმაღლეს ერვერვალი მდებარეობა: განსაკუთრებით ბისმარკის შემდეგ, რომლის რეინის მარჯვენამ სასტიკად შევბოჭა გერმანული სიმთავ-რონი ერთ სახელმწიფოდ. ჯერ მაშინვე იღლოთი იგრძნეს გერმანიის დიდი შომავალი და ამიტომაც ისე რიგად ეზისლებოდათ მის სამთავროთ გამაერ-თებელი ბისმარკი, რომელმაც ერთხელ სამართლია-ნად წარმოსოდეს რეინსტაგმი: მთელს ევროპაში ჩემთვე უსაზისლები იდამიანი სხვა აღარავინ მისჩნიათ. და აი დადგა მოშენტი, როდესაც ბისმარ-კის ბედი წილიდ ერგო მის შეირ გაერთიანებულ ერსაც. ყველის თაიგული კი საფრანგეთია, რომელიც კეშმარიტებისათვის იბრძოდა. სხვა ერთა თავისუფლებისთვის ჰლებიდა სისხლს... რაც არის, მსოლოდ ისარის... მაგრამ ვინ არ იცის, რომ უცმო ერთადმი სიმპატია ამა თუ იმ ძლიერი ერის დამოკიდებულია პირად ანგარიშებზე, რომ იქაც ეგოისტური პოლიტიკა მთავარი ლერძი, რომლის გარშემოც ტრიალებს მათი თავ-განწირულება. და მართლაც, განა დღეს ინგლისმა მორთლა-ცელგი-ლების სიყვარულით იოლო მახვილი ან იქნებ წარ-სულში ლიუდოვიკ-ფილიპემ იმიტომ შემოარტყა ალყა ანტევრპენს, რომ ბელგიელებისათვის თავი გაეცელებინა? აბა გავიხსენოთ ეს ფაქტი და დაინახეთ, ; რომ ლიუდოვიკ-ფილიპეც სწორედ იმიტომ იპრძოდა, რომ ლეოპოლდ I მისი სიმამრი იყო, რომელსაც შეეძლო თავის მხრით დახმარებოდა მას ნორჩი ტახტის გამარ-ებაში. ასევე იქცეოდა ნაპოლეონ მესამე, ჯერ კიდევ რეგენტობის დროს, როდესაც რომის რეს-პუბლიკას წინააღმდეგა და კლერიკალების გული მოიგო, ხოლო სამეცენატორო კვერთხის აღების შემდეგ იგი იტალიის მხარში იმოუდგა იგსტრიის



ՏԻՐԱՄԻՋԱԼԻ. ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ԹԵՇԻՏՈ ՀԱՅԱՄԱԴՈՒՐԻ.

Դասմարկեցնեած. Ցըրյ և ոչ ամու Ցոհեթօ? Իւ  
տիմ լինդա, մուս գարշլո Ցելուտիմի. Ու քրոս  
սաբրանցիտ Ցերոված լինեցն օքսրոս. Ըստ ու,  
սփոհեց մու ճասամածնեցնեած և առ ուսպողուրո  
մամշլություննեցն և պահանջառու սայլուցնեցն ճասա-  
պագ, ամահու մանզուրո. Պահուրուր, ու մահեն մու-  
նցնա. Օքսրոս ճամարկեց. Տայրանցիտ Ցորուրու-  
թա ճահիս ցըրութեա. Խացու ու իամուցւու, հոմ թո-  
քայթուր ցոկուր յմանցուրու առու յո Շեքյութեցն. ունի  
իարցու ցամու ման թանաեցն անաթլուրո, նո-  
ւու և ապա Տայրու Մեմուրու. մաժ այսու և գասու և սու-  
քարու—անքութիւն լինդա ցըդեծու ամ Ցոլութիւրուս  
մովմեցնեցն? առու յիշու նանչշո առ Ցածաւուցնամ  
սաբրանցիտ Ցորուր ցրու ճասաւուրու, հոմ լի Մայ-  
լուցն ճահուրու նահուրու նալաւուրոս տցուտուն առ լուցնա-  
հունցնենու. Ցորուր ցրուն մուսակիլուրու սաբրան-  
ցիտու մերուտ մուս սանալ Մենու Ցոլութիւրուն լինդա  
ցըդեծու, տունդա մարուրու, սածաւ սուզըւ Շելս  
զուսմուր գրանցիտ տուցու էն. Ըստ յուլուրու

Ցագրու և սաբրանցիտ, ան ոնցլուսո՞ տցու  
Ցոլունցու, Ցարյուր Ցոլունցու, անց Ցցուրու լինդա  
լուցնեցն առ սիսդուն? Յոն ուրուս ամ մերու, հոմ  
լի Ցուրուցն ցահու! Ցացուրութեցն ჩամուցուրո Կութա  
նցրմանց մացնահնու. Ուղեց յո ճամնամացն սկամնց  
ցերմանու նու, հոգան ման լուրիւր ուն օգո  
Ցերացուրու մուկյու. Ցերացուրու մուս ուն սամու-  
ալուցնու... առ ճանցու լուցնու... հոյուսու Շամ-  
րու ճանցրու... մալունու սայրությունու ըստուրու մու-  
տեարա մուրուն... մշույնուն մըսուրություննեցն առնց-  
ցեն, ասենիրուցն... լո մարտուր ասցա... և հոմ  
սահրատու լինալուրու ունու, ազրուրություրու, լի-  
րու սրշլո, մոմարտավեն լիրու լուրուս սածու-  
թեցն, ցերմանցու նյարուցն... Ցերմանց չա-  
րուս-յաւու նյերուցն, հոմ տցու ուսոնո առ  
լուրմանցու տացունու սոնեցուրու. ու, տցու-  
րունո մայքս «Հայու. Վելութուրու», հոմելու գոյս  
սնաւ լուրմանցու գանցեցն լիրու ուսոյիւրու. օյ,  
սնաւու մուսանուրու մոսանուրու ցոնցընթարցուտ սայարու

და ერთი ჯარისკაცის წერილი; \*) საღაც უადამი-  
ანობა უღიარებით გერმანელებს მთავარ პრინცი-  
პალ, რომ ომს მალე ბოლო მოულოთ და გავი-  
მარჯვოთ. წერილი, მართლაც, ურუანტელს მოპ-  
ვკრის ადამიანს. ქვის გული უნდა გქონდეთ, რომ  
ცრემლები არ გაღმოგცევდეთ. მხოლოდ წერილის  
ავტორი ჯარისკაცი რომაულ ულმობელობაზე თავ-  
სა სდებს და სისტოკად ასრულებს უფროსის განკარ-  
გულებას, რის გამოც შიშილის მსხვერპლი უნდა  
გახდეს მოხუც აღამიანის ოჯახი და უწწეო მისი  
ცოლშვილი. რა არის ესა თუ არა ბარბაროსობა?  
რა თქმა უნდა, ველურობაა ეს. მაგრამ ჩვენ გვა-  
ვიწყდება, რომ თვით ომიც ველურობაა! ორში  
ერთი, ან ომი, ან და მშვიდობიანობა.

დ. კ - ძე.

(დასასრული იქნება).

\*, იხ. „რუს. გედ.“ № 271 „Германский  
терроръ“.

## პ რ ე ს ა

რეისტაგში ამასწინად საიმპერიო კანცლერის  
სიტყვის შემდებ სოციალ-დემოკრატელ ფრაქციის  
დადგერმა ჭარბე შემდება სიტყვა წარმოსიქვა:

„ფრაქციის სახელით ვამოწმებ. რომ ის ფაქტები,  
რომელიც ესა ჩვენ გაბგაცნა საიმპერიო  
პანცლერმა ბელგიისა და ლიექსემბურგის შესახებ  
შერ გააძართდებს იმ შეხედულებას, რომელსაც 4  
მარიამთბისთვეს იცავდა საიმპერიო კანცლერი. ამის შემ-  
დებ სოციალ-დემოკრატელ ფრაქციის დავალებით  
შე შემამაქვს მემდები განცხადება: „სოციალ-დე-  
მოკრატელ, ფრაქცია იმავე შეხედულების ადგინა,  
რაც 4 მარიამთბი. გამოსთხვა. ამის, რომლის დრო,  
მაზეზები განხომიურ ინტერესების წინააღმდეგთ  
ბაში მარხა, ჩვენ უკანასკნელ წერამდის კებრძო-  
დათ. მაგრამ შერ გადებ ჩვენ საზღვრებს კვლავ  
მცრის ჭარბი ემუქრება. ამის კამთ, გერმანიის  
სალტმა უნდა მთიკრით მთელი თავისი მაღა-  
ჭეუნის დასაცავად. ამიტომ სოციალ-დემოკრატია  
უნდა კრედიტებს ამტკიცებს. შერ კიდევ 4 მარია-  
მთბისთვეს, ჩვენ მთელ ინტერნაციონალობან ერთად  
კადარეთ, რომ უთველ ერს ხაფიანალერ დამო-  
კიდებულის უფლება აქვს. ჩვენი შეურევებელი და

რწმუნა, რომ ერგბის წარმო ტებით განვითარება  
შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა არც ერთი  
ერთ შეთრები დამთვარებულობა არ შექმნას და  
აშით ახალ ამის წარმო შეას ხელის არ მეუწეობს.  
ჩვენ იმავე ხადაგზე უდგმობი არ შეართოს. რა  
განვითარეთ: ჩვენ შევითხვავთ, რომ როგორც კა  
ჩები მასნი მაღალი იქნება. და მოწინააღმდე-  
გებია ზეუდი ჩამოცდის მოსურებები, რომ ბოლო  
უნდა მოედოს ისეთი ზაკონი, რომელიც შესა-  
ლებლად შექმნის მეზობელ ხალხებთან მეგობრო-  
ბას. ბოლოს თრატორის ბროტესტი განაცხადა  
სამშობლოს საუდინიეროს ნადაბის ქვეშ სხვა ხალხ-  
თა მიმართ დეკრიტის დათვების წარადგენი. და-  
სასრულ მან მოითხოვა ცენზურის გაუქმება.

(„ახ. აზრი.“)

## ქურნალ-გაზეთებიდან

### პოლონელთა რაზმელები

იმ კამპანიაში, რომელმაც კაიდაშენა ბოლოს უნ-  
დანიზატორ ფიტოფაცი მორჩინების წინააღმდეგ, თავისე-  
ბური ხაყოფი მოიტანა. პოლონელთა რაზმის თრატოზა-  
ციის იდეამ ვერ გაიძარფგ. ვერ კაიმარჯვა იმიტომ,  
რომ მას წინააღმდეგ ამხედრებული აურ ადგილობრივი  
პრესა. ამიტომ მოლენირ კარპუსში, სადაც 50,000 კა-  
ცამდე უნდა შესულიყა, დღეს მხოლოდ 200 კაცია ჩა-  
წერილი; პსენიც სულ სოფლებები არიან, დარბეულ მსა-  
რებებიდან გამოქვეყნდნ. მათი სურვილია შერი იმის  
მათდამი, ვანც მათი სარჩე-საბალებელი განადგურა.

არც თუ პროეინდიტია ხეირიანად პოლონერ რაზ.  
შების საქმე, მცხოვრები კოთობა არ თანაუკირძობებს ას-  
იდეას. დღემდი პირველიციალურ ქალაქებიდან მხოლოდ  
ხდებმა დაუშირა მხრი, სადაც თორ რაზმელი გამოი-  
და. გარშემო შემდგრა რაზმი 22 გორგი. გაგმიზაკ  
სადგურ 6..., სადაც აფიცენების ხელმძღვანელობით არი-  
თვის განმავლობაში დაჭროფებ საჭარბებოდ. შემდებ, რა-  
თქმა უნდა, ესენი გაგმიზაკების მთავრ-მომენტე არმი-  
ასთან შესაერთებლად.

სადგურ 6—ზედ რაზმელთა საჭარბებოდ დამშები-  
ლი აქვთ საგრონომით ინსტრიუმენტის შენობა.

რაზმის შედების იდეას მართ დაუშირეს უფრო  
აცერიკაში შეთელ პოლონელებმა, რომელთა რიცხვი 5,000  
კაცმდე ადის. მაგრამ ეს რაზმელი ინგლისელებთან  
ერთან იძრძლებენ... „ზაკ. რენ.“

### ოსმალეთის ასპ რეზი

პ. ხეთა „რეზ“-ის კონკრეტულ ტი 1726-ის: დაწილა სადღარები დიდის საციფის ეშვით ისლამიურ და დამკარგი ქარისკაცების. ასმადთების და დირსებას გერმანელებთან შედარებათ ის საჭირო ის, რომ მეტად ამტანი არის. შეავრები, ხახულიდ შიძველება უასაკენებ წერის იძრებას. ბრძოლის ველზე დიდი თავიდას, ძლიერი უხვება, შეკრამ ასმადთები არაუკანი ერთდებან და თითქმის ფასმიშველა დადიან.. ავსტრიელები და ბრძანელები ერთს საათაც გერმანელების ამდენის გასაკის, ასმალები გი ექველაფერს იომენენ და ტუშე ნებდებიან რესტრი შესაბამის, როცა დაარაკითარი ხსნა არ არის. ძლიერ უტირო ისმ-დოვას ხიმრებით ბრძოლა, რადგან მათ გერმანელი თავიები ჰქონ: რამალებისაც სრთდის დროს ხაშტები უნდა შოსხინათ და შეკრის უნდა გაუმართოთ, როცა საჭიროა ხიმრებით ბრძოლა.




ტუშიდია ზოგიერთ გაზეთების შიერ გაფრილებული ხელი, გითხმი თამადითები ხატაგენ მეხოვრებული ხელის სომხეთში. მარიჯით, თამადეთის შეავალის ცდა და დამდის ყოველის საშუალებით, რომ სომხების თხავის მიმართ მოიბრუოს.

ამას ამბობს სომხოფილური უკრიტიული და ჩვენ გვიკვირს რათა სკირდებათ ადგილობრივ გაზეთებს გაზვიადება იმ ვითომდა ხოცა-ელეტია, რომელიც სწარმოეს სასომხეოოში.

### ერობა კავკ სიაში

ამ საკითხს, თუ რა რეფორმები უნდა მოხდეს კავკასიაში ერობის შემოღების გამო, ვამ. „ბირ-ევრი ვედ.“ ფურცლებზე დაწვრილებით ეხება ხახულმწიფო საბჭოს წევრი თავ. ა. მ. ერისთავი. ავტორი აკხადებს, რომ იგი ეპვით უცურებს მთავარ-მართებელის კანცელიარიის მოქმედებას ამ საკითხით.



### გერმანული დახურული თხრილები

1) ტუშიის მფრქვეველისათვის და 2) ქვეითა ჯარისკაცისათვის.

ნის გასაშუქებლად. კავკასიის მთავარ-მართებელის საბჭო უხერმულად სოველის მის შემოღების და ამის დასამტკიცებლად ადგილობრივ პირობებს განიხილავს, კითომც სწორედ ეს პირობები აპრეოლებენ, კავკასიაში ერობის შემოღებას.

„თუ მართლა ამ ერთად კავკასიის ზოგიერთი ნაწილები, როგორც მაგ. ყარსის ოლქია, წმინდა კუონომიურ პირობებისა გამო მოუზრადებელი ერთბის რეფორმების მოსახლენად, ეს კიდევ იმას არ ამტკიცებს, კითომც რესეთის ერობის დებულებანი შეუძლებელი იყოს შევუფარდოთ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიას. მეორე მხრით, რომელი ერთი რეფორმა შემოუდიათ ერთბაშად მთელი იმპერიისთვის, თუნდა კავკასიისთვის? საგლეხო, სასამარ-

თლო, სამოქალაქო და სხვები თანდათანობით ხდებოდა უცელა რაიონებში და ირა ერთის დაკვრით. მთავარ-მართებელსა სურს შემოილოს მაგალითად, ყირსში ერობი, მაგრამ რაკიდა ეს ოლქი მცირედ ირის დასახლებული და ეკონომიკურადაც დარიბია, იმიტომ მას შეაქვს პროექტი, რომ თბილისის გუბერნიას გამოეყოს ახალციხის მაზრა და ყარსის ოლქს შეუერთდეს. — სახელმწიფო საბჭომ კი ერთიანად გააუქმა ყარსის სამოქალაქო მდგომარეობა, როდესაც მე პირადათ მომიხდა, როგორც სახ. საბჭოს წევრის, კათედრიდან დამეცვა მთავარ-მართებელის კანონ პროექტი მე წინააღმინდენ თვით საბჭოს ისეთი უბარტიო წევრები, როგორიც განლავოს. ვიტე, და პროექტიც მოღიად ჩაიტარება კავკა-

სოს ერობის პროექტებში, რა დენადეც ვიცი ერ არის მოხსენერული თვით საშაზრო ერობა, ანუ სა- მანქო უაწესებულებანი. მთავარ-მართებელის კინ ცე- ლიარის საზოგადოთ უყვარს ახალ-ახალი პროექტები. მაგ., ამ წლის დასაწყისში შან დაურიცა გუბერ- ნატორებს პროექტი, რომ კავკასიის აღმინისტრა- ტიული დაყოფა ხელისხმად მოეხდინათ ეროვნება- თა მიხედვით, აქ აღნიშნული იყვნენ სომხები, ქარ- თველები და თათრები. მთავარ-მართებელის პრო- ექტას მიხედვით ზემოა ხსენებული ახალკინის მაზ- რი თბილისის გუბერნიას ექტებოდა და კარსისაში შედიოდა. შემდეგ თვით ახალკახის მაზრა, თბილი- სისა და ბორჩალოს მაზრის მეტი ნაწილი განჯის გუბერნიისურთ შედიოდა ერევნის გუბერ- ნიაში. ამნიორიდ საში მკონებელი თბილისის გუბერ- ნიისა იქტებოდა, რომ ერევნისა და კარსის ოლქის კრელი ტერიტორია გაეფართოვებინა, რომელთა მუხოვრებინ მაინცა და მაინც სომხეთი უმრავლე- სობას არ შეადგენენ. ეხლა სიკითხი იბადება, ნერი- ას მოასწავებს ყველა ეს? კეშმარიტად, ძნელია ამაზე პასუხი გავვცენ „...

## ეროვნული სიმზიცე

ქართულ ეროვნულ ცხოვრების მსედვებლას რომ აკვირდებით და იგდებოთ, აშეანად ჭერდებოთ შემდებარე- ბების: ქართველ ერ ს შირვენ-უაფერ მდგამარეობის მემდებ შეუმუშავებია უგელა ფორმა სოციალურა, გონი- რივა და ეპონთმიური კულტურისა, გაუგრია უგელა სა- ფეხური, სტადია თანამედროვე მოწინაშე-განათლებულ ერებს რომ შეუდგენია და დაგროვებია აშნაირად შეარმი- ამონდგრომია განვითარებულ ერებს.

ეროვნულ ცხოვრების განვითარების ისტორია. ის- ტორიულ მრავალის მეცნიერებულად შესწავდა ფრიად დი- დი საქმე გახდებათ და თან განსაკუთრებით საინტერესო. ქართველ ერის საზოგადოებრივი ცხოვრება ფრიად შესა- ნიშნავი იყო თავის სიძმითოთა და სართულით ჩენ აუ- არებელი გვიმტიცებებს, რომ ჩენს სამმაბლო ძველიანი აბარად ერთართებოდა და ერთეულია ჩენს ცხოვრებას კულტურა ინდ ეპონთმიურ შესაკრება და ერთეულია და ერთეულია ჩენს არ და- კურგარებია ძალა, გაგლენა და თავისებულება ქართველ შემოქმედების, მის სულაქ, გონიერი გან- ვითარების სამართლი—ერთობლის და ეს ქართული ცხოვრების სიძმითოთა—ერთობლის და ეს ქართული ცხოვრების და საუბეთესო გამოსატულება გახდება ქა- რთველი ურის სიმტკიცის, მისი აწყვეს სიძმითოს...

თავისთვის ძლიერი იყო ქართველ ხალხის საწა-

მოგრ სამუშავება, ქართველი ენერგია მაღრევის წარმა- დგენერა, რომელიც ჭერიდა ახალ-ახალ ტრანსისტორების და მართვის, ბერმების ს ცოხითის სას რეა თუ რომელ- დების, სასახელების თუ თურქების, უკავ და მაღების მიუხედავ ქართველის თავის მართვისათვის და სირ- მართველის მიუხედავ რეა რაგორც პარტიის, უადოსა- ფის, ხელოვნების იმ უმოსი დარგები. რაგორც გ ა: დამიკანონი ნიკო მარია მმაბის „ქართველი ერთეული“ მისი მისამართის მიუხედა ბერმების ს მართვისათვის და უსწორება მერიული, რის კრიო მაგალითი თ კნდ მეტრაწის მეტაქედებია, რომლის წარადგით ქარ- თველის ზედ მოწერით ისწავლით კრისტოდა ბრობლეს ფა- ფის გრძელება მხალეთი „წასდა თა გმირი“ (გვ. 19 მართი).

საკულტო სიმზიცე და შესწამნა გახდეთ, რომ რამდენიმე გიორგი დემიტრი მსარე ულ ტერიტორია და მერ- ნიშნულია, იმდენად კ როგედი ს ედი, ქართველი მეტ- მდებები, და საერთოდ ქართველობა სიუდ-მცენტრი მო- ვლენად ხდებოდა, რაც ურთიერთი აბარენების იქ- რეთს, ბერიას, სამეგრელოს, კახეთის და სს. თანდათან მტკიცებოდა ერთგული სხეული და იგი იღებდა ერთ- ანს სისქეს. საგეოგრაფი იღეს ტრადიცია სამისოდ ქართველი და ტერიტორია არის, ქართველი თავისებული სტადი, გა- მო, ინტერესი. მართალია მთელ ფერდალურ ცხოვრების განმავლობაში ჩენ გვანახების ქართველი ხალხი სხვადა- სხვა დააღმინებ სმარად მესაბამი კიდოს, პროგინცია- ლებ ქარგოს და ღიციას, მართა საქართველოს ხა- ნილთა უაველი შთწახავ წრემი თანდათან მოავარ ადაგს იქრდა ის, რასაც კ დიდი პროგინციალის კლ- ფერი, ხდებ ჭერის საერთო ხასიათი. ეს იყ ქართუ- ლი და ტერიტორიული ეს, ქართველი სარწმუნოება, ქარ- თველი კართველის და სისხაეს ქარ- თლობლის, რაგორც ეს ბევრი ჭიბონია ჩენში, არ არ ქართველი გამოკახულია რეგიონი ქართველული, ქახური, იმერელი, გურელი, ის შეგრებიცა და ჭანურიც ი. ჭანურიცას ეს არის არა ეს ქართველის ან ქართველის, ესიც აგრე ფიქრობის, ამართა მას წრმოდის არ ჭი- ნია ქართველ-კახეთის მეფიდისა ერმაკ მე-III-ს და კო- როგა მე-XIII-ეს ენაზე—იდიას ეს მთელ ქართველ ერის ენა. იგი უაღრესად ქართველი ენას. ამნაირად ს- ქართველობის და ქართველ ერის უფელ ძალა ურთეულ- თან ჭერინიდა ცხოვრებ დამთკიდებულების და როგო ცხოვრების სიძმითოთა—ერთობლის და ეს ქართული ცხოვრების და საუბეთესო გამოსატულება გახდება ქა- რთველი ურის სიმტკიცის, მისი აწყვეს სიძმითოს...

პირველი ძლიერი მდგრადი განვითარება სიფრიანი

იქ ქართველი ხადისა საკუთარი ტერიტორია, ქრონეული მძღოლისა, ნაციონალური შემაქმედება, შეადგინდა ბაზისი, რომელზედაც ვითარდებოდა, დამჭირდებოდა სახე ქართველი ეროვნების. ჩვენ იმდენად დამოუკიდებელი, იძენად ძღვირი და მთლიანი გახდით, რომ ჩვენი ცხადობის განვითარების ჩვენ უდირეს როლი ერთგულ ძალას ვაკეთებისათვის, ქართველმა ერმა შექმნა ქართველი ისტორია, ქართველი კულტური, ეს იყო აქვანა სინამდებარებული და ამ წერილების გერ შეძლალავდა კირც დამატებითი და ვერც მაკოლევა.

მეცნამეტე საუკუნეში ფრთად ცედი ბირთხები დაუდა ქართველ ერს. შედარებით ის გაიყინა, თუმცა აბილიტებებისად წაფადა წინ. კაპიტალისტების კიდევ უფრო დაახარვა ურაშანების საქართველოს გუთხები შრომის განხილვა მე-18 საუკუნეში რომ არსდებოდა კიდევუფრო წაფიდა წინ და ერთი მხარე საციალისტად და გვა ნომინირად კადევ უფრო გადაეცა შეთხეს. მე-19 საუკუნეში ახსოდინებული თვალსაზრისით ქართველობა ძლიერ გაერთიანდა, გამტკიცდა, მისი სხეული ერთობ მთლიანი შექმნა.

ქართველი ური მთლიანი, მტკიცე ერთოველი თრგანიზმი, რამდის ფაქტორია ქართველი ტერიტორია ქართველი დემოკრატია ა ქართველი დატერიული ცხადი, რომ უცილდ ძღვირი, ფრთად კლასიური და შემოქმედი ერთოველი ჩვენი ერა ასე მტკიცე რომ დაუცივს თავისი სხე. შეარა ამ ს. ბერის წერი მოძრობი, რომელმაც ჩვენ გამეოფებით ა უძიდ ქართველი ერის ერთოველი სიმტკიცე სასანალოდ უნდა გერმოდებეს და შემსახურებოდეთ იმ ს. ქმედი, რომელიც ამ ერთველი სიმტკიცეს კადებ უფრო გაადრმაცებს, გადაც შეტაც დაცეც ჭეშმას.

ჩვენ შხვთლიდ ის გვანცვალურების, თუ როგორ ჩხდებიან მთაზროვნები („გამ. სლოვა“ ში ბ. ჩარ., ა), რომელიც ქართველ ერთგულ სიმტკიცეს შხვთლიდ მე-19 საუკუნის ხაფუფადა სთვდიან და იმასეც რუსეთის სახელმწიფო რივა მოღვაწების შედეგად, როდესაც ქართველი ერთგულის სიმტკიცე შემუშავებული შრავალ საუკუნების განმავლობაში და ისიც შხვთლიდ და შხვთლიდ ქართველ ერის შესახებ მომქმედ ძალა შეიტებათ.

თ. ღლონოზ.

„ა. ივერია“.

## ც ა უ ს ტ ი

(გაკრევება)

ჩემისკენ მოსკურებული კუცხლის ეტლი მსუბუქის ფრთხებით,

მხად ვარ გავიტრა ეოტრისა სხვა საფურისკენ, ახლოს სფეროში, სულ სხვა ახლოს მოქმედებისკენ

დრად ცხოვრების და ღმერთების სამფლობელის სამართლებულების გადატენუალისკენ.

და შენ კვლავ მატლო, განა ამას რით იმსახურებ?

შეაღვე ბჟენი სიკვდილის შეუშფოთებლად, რომლის წინაშეც სიხარულით სხვა უკან იხევს, და დაამტკიცე რომ არ უთბობ იმით ზესთაზეს, პო, მაში თამამად შეუკეცე ზორგი მიწის მხეს —

აქ გაქცს შემთხვევა დამტკიცო შენ შოქმედებით,

რომ კაცო ნება თვისის ყოფნით არ უთბობს ღმერთებს!

ნუ შეუკრთხები იმ ქვესკნელსა წყვდიადით მოულს,

რომლის წინაშე აწ ოცნება თრთის და ცახას ცახებს,

ესწრაფებოდე ამ ხსნის კარსა, თუნდაც პირი დგან

თვით ჯოჯოხეთი პრიალებდეს, ისროდეს აღებს.

თამამად წარსდგი ეს ნაბიჯი, თუნდაც შენ ამით

სოფლის გადაღია შეუცურდე არარაობის!

მაში მოვედ ჩემთან კონტა კიქავ, მინავ შევირვალო!

მოიხსენ შენი სახურავი, თვალი მოგავლო!

მრავალ წელს ცავ მიცემული დავიწყებასა.

წინაპირო ხელში ქვიფის დროს შენ კრიალებდი.

შეოუცვლიდი ირგვავ სტუმართ, ლხინით აფს სებდი

მავ შენს სურათში ჰეგის ახსნა განმარტებისა ყოველს გამომცულებს ავალებდნენ და თავს ირთობდნენ,

და ერთის კულტებით რა დაგვილადნენ, აღიგნებოდნენ.

ეს მოგონება ჩემს კრიობის ფას თვალწინ მიენებს,

ოდეს ჭაბუკი ვათენებდი ლხინში ღმერებს, მაგრამ ეჩლა კი ვერ გადავრცემ ვერც ერთ მეზობელს,

ველარ გიჩვენო მაგ შენს ზმებში მახვილ გო  
ნება,  
შენში სდგას სითხე, რაც მსმელსა აშორებს  
სოფელს.  
აწ ამის ვარჩევ, აქ სიცოცხლე კიდეც შესწ-  
ყდება.

მაშ უკანასკნელ წვეთებამდის შესვი ბალლამი  
და ალტაცებით სხვა გმითიადს უძლვენ სალამი!  
(ჭიათ პირთან მიიტან, ისმის ზარების რეკა და ჩო-  
როს გაღობა).

### ბორი ანგელოზებისა.

ქრისტე ალსდგა მკვდრეთით.  
იხარებდეთ შვებით  
ჩაგრულნო, დევნულნო,  
გლიხაკნო გვემულნო!

**ფაუსტ.** ეს რა გალობის ხმა ისმის ვარედ,  
რომ ამ სასმისზე ხელს მაღებინებს?  
ზარების რეკა, მათი გუგუნი  
უკვე ალდგომის დღეს გვატუობინებს?  
თქვენ, მგალობელნო ერთოხელ საფლავთან  
ანგელოზები მაგრე გალობდნენ  
და სათნოების ახალსა კავშირს  
წერიალი ხმითა სოფელს ამცნობდნენ.

### ქალთა ბორი.

ნელსაცხებელით რა განვასვენეთ  
მისთა ერთაგულთა აქ დავასვენეთ  
სუდირით, სარტყლით შევმოსეთ იგი  
და რა ვიგლოვეთ, გამოვეთხოვეთ;  
მაგრამ, ვაი, რომ ჩეენი იქსო  
საფლავსა შინა კვლავ ველარ ეპოვეთ!

### ანგელოზი, ბორი.

ქრისტე ალსდგა მკვდრეთით  
ნერავ იყვნენ მოყვარულნი  
რომელთა ტანჯვა  
შესწელი და მძიმე გარლიატანეს!

**ფაუსტ.** პოი ციურნო, საამო და ძლიერნო ხშანო,  
რისთვის მომნახეთ მე ბედურული პტვერში ჩა-  
ფლული?

თქვენ რქ პრეკავდეთ, სად გულჩვილნი კაცნი  
სცხოვრობენ.

მე თქვენს მოციქულს მაგ თქვენს პანგია დიხი  
რომ ვუსმენ,  
მაგრამ, ვაი, რომ აღარა მაქს რწმენა ამ  
გულში  
და სასწაული ხომ შვილია მხოლოდ რწმენისა.

მე იმ სამყაროს იღია ძილმის კვლავ ვესწრა-  
ფოდე,  
სიღანც მოისმის ეგ იმბავი ხომიანი.  
მაგრამ კი მაინც იგი ხმანი, შერომ ურმობის  
ურთისების გას კვლავ მიშირვებულ ცხოვრების-  
კენ

სხვა დროს ციურის სიყვარულის ამბორი ჩემზე  
გადამოდიოდა პირველ შაბათს მყუდროებაში,  
მუ აღმავსებდა ზარის რეკა იდუმალ გრძნობით  
და ლოკვა იცო ნეტერება ჩემთვის მეოხი.

მიუწვდომელი, სახიერი სურვილთა ლტოლება  
გულს იტაცებდა სანავარდოდ ტექსა და ბარში,  
და ათას ცაარე ცრემლ მონამეით თეით ჩემში  
ვგრძნობდი

ალორძინებას მოელის სოფლისას და სამყაროსას.  
იგი გალობა მახარებდა ურმობის ცელქს თა-  
გა გადასახლდა

და გაზაფხულის თავისუფალ ბედნიერებას.  
აწ მოგონებამ რა აღმიძრა ბავშვობის გრძნობა,  
არ მაღვმევინებს უკანასკნელს და პირველს  
ნაბიჯს!

კვლავ იხმაურე, პოი ტკბილო ზეცის გალობავა  
ცრემლი იღვრება, დედამიწას ვეკუთვნი კვა-  
ლად!

### ყრმათა ბორი.

საფლავში მყოფი იმაღლდა ზეცას  
და შეიმოხა კვლავ ბრწყინვალებით,  
მიუახლოვდა იგი დასაწყისს  
საღ თავსა იშვებს ჭმის სიხარულში,  
მაგრამ, ვაი, რომ ჩეენ მიწის მეტრდჲე  
დავრჩით უწმეოდ კვლავ საჭანჯველიდ.  
დასტოვა თვისი მოწაფენი მგლოფერენი.  
იხ, ჩვენა ვჩივით ცრემლის ფრკვევით, ჩეენთ  
შე ს სანერიორო ბედნიერებას! ქმილვარო,

### ანგელოზია ბორი.

ალსდგა მკვდრეთით  
ხრწნის სავანიდგან!  
ჩამოიხსენით სიხარულით თქვენი ბორელი!  
თვით თქვენის საქმით ლალალმუსუელნო,  
სიყვარულისა გამომწენელნო,  
ძმურად საგზაულია ნეწილ მოცემნო,  
შვების აღმოქმედნო,  
თქვენთან არს ახლოს იგი მოძღვარი,  
მანდ არის თქვენთან!

### ქალაქის გადავნის წინაშე

სხვა და სხვა ხელთბას და წოდების მასეუანები გამოდიან  
რამდენიმე ხელოსანი. მაინც მაინც კენ რისთვის  
წავდეთ? სხვები. იქით მივდივართ, „მონადირის მარანში“  
სწორედ! პირველი. ჩვენ კი გვინდა რომ „წისქვილისენ“ გა-  
ვისეირნოთ!

ერთ ხელოს ნთაგანი. მე კი თქვენ გირჩევთ „წის-  
ქვილისენ“ გასწიოთ უველაშ.

მეორე არაფრიად ვარგა გზა იმ მთარეს.

სხვები. შენ რალის იზავ?

მესამე. რაც სხვის, შეც ისა!

მეოთხე. მოდი, გავსწიოთ ბურგდორფუსენ!

ნამდვილად ვიცი, იქ უველა პპოვებს  
ლამაზ ვოვონებს, გემრიელ ლუდსაც,  
და ყოველვარსა ს ქმეს საბუშტო!

მეხუთე. შე მხიარულო ლაშლანდარავ, მითხარ ბე-  
ჭები

მესამედ ხომ არ იგქავებია?

იქით არ მინდა, ჩეშინიან იმ აღვილისა!

მხახური გოგო. ვიშ, არა, არა! დავბრუნდები ისევ  
ქალაქში!

მეორე გოგო. ჩვენ იმას კნახავო უემველად იმ აღ-  
ვის ხის ქვეშ!

პირველი. ეს არ იქნება ჩემთვის დიდი ბედნიერება.  
ის შენთან ივლის მხოლოდ შენთან იცეკვებს

და მე რას შარგებს შესთან შენი სიმრიარულე?

მეორე. დღეს, უემველად არ იქნება იგი მარტოკა  
აქბობდა: ჩემთან თმა-ხუჭუჭა მეყოლებათ.

მოსწრე ვლე. ჯან! ეს აშარნი. დახე, როგორ დაალა-  
ჯებენ!

მოდი, ძმობილო, უკან გავკვეთ. იცეკვიატოთ.  
მაგარი ლუდი და თუთუნი, მორთული გოგო  
ჩემს გუმოვჩებას ეს შეადგენს თავით ბოლომდე

ა. შ.

(შედეგი იქნება)

— და და —

### ბიბლიოგრაფია

„ნგარიშთა და საქმეთა წარმოება ჩვრილი კუნ-  
დიტის საკონპერაციო დაწესებულებაში“

(ბ. პ. ქანდედაქისა, გამოცემა ქრთულ სასაფლა-სამე-  
უნქო საზოგადოების საკონპერაციო სექციის).

ვინც კი გახცნობია ჩვენს სოფლებში ოჩე-  
ბულს კონპერატივებს, უემველად შენიშნავდა ერთს  
უმთავრეს დამაბრკოლებელს მოვლენას კონპერა-  
ტივების ზრდა-განვითარებისა. - ეს გახლავთ კონ-  
პერატივის წევრთა მომეტებულ ნაწილისათვის გაუ-  
გებარს ენაზე საჭის და ანგარიშის წარმოება. კარ-  
გია თუ კონპერატივი არსებობს საღმე დიდი სო-  
ფელში, საღაც საქმარისად მოიპოვებიან ინტელი-  
გენტინი, რომლებიც შეივსებენ წესდებით საჭირო-  
რიცხვს გამგეობისა და საბჭოს წევრებისას, მაგრამ  
პატარი სოფლებში არსებული ამხანაგობანი პირდა-  
პირ უნუგებო მდგომარეობაში იმყოფებიან. ასეთ  
სოფლებში მოიპოვება ერთი ან ორი რუსულის  
მკოდნე პირი და მთელი ამხანაგობაც ამათხე არის  
დამოკიდებული. დანარჩენ წევრთ-რუსულის არა-  
მცირდნეთ—არავითარი წარმოდგენა არა იქვთ ამხა-  
ნაგობის ანგარიშზე და საჭის წარმოებაზე. ეს  
მოვლენა არის მიზეზი იმისა, რომ ბევრგან ერთი  
რომელიმე ამხანაგობის მოთავე პირის სახელი უწო-  
დეს თვით საკრედიტო კონპერატივს. ამავე გარე-  
მოებით აიხსნება შემდეგი ფაქტებიც: სოფელ ლ-  
ამხანაგობის მთელი ავან-ჩავანი ამხანაგობისა იყო  
ერთად-ერთი მასწავლებელი და როდესაც ეს მი-  
წავლებელი სასეროლო მთავრობაში სხვა სოფელში  
გადაიყვანა, უნუგებო იდგომარეობაში ჩავარდა ა-  
მხანაგობა და გასწავლებელმა გადასწუვიტი მიემარ-  
თნა წვრილ კრედიტთა ხავებერნით კომიტეტი-  
სათვის ამხანაგობის დახურვის შესახებ. ხაბედნე-  
როდ გადაიყვანილ მასწავლებლის მოადგილებ იკი-  
რა მუშაობა ამხანაგობაში და განაგრძო თვის წინა  
შოადგილის დაწყებული საჭმე. მაგრამ ენ არის  
იმის თავდები, რომ ახლა არ გადაიყვანენ ახალს  
აღვილზე და იმავე მდგომარეობაში არ ჩავარდება  
ამხანაგობა. ამგვარად, ჩვენში რომ ქსოვებით მკო-  
დელო, თუ ზოგიერთს სოფლებში ჩვენს საკრედი-  
ტო ამხანაგობათ გარეგნულად მაინცა აქვთ კონ-

პერიოდული სახე, დანარჩენ მოშეტებულ ნაწილს ამხანავობისას ეს გარეგნული კოოპერატიული სახეც ეკარგებათ. ასეთი მდგომარეობის მიზეზი უმთავრესად გახლავთ წევრთათვის გაუგებარს ენახე ანგარიშის წარმოება. დღეს ამ დაბრულების თავიდან აკილება უკვე შეიძლება, რადგანაც სათანადო მთავრობის მიერ უკვე ნებადართულია ანგარიშის წარმოება საკრედიტო ამხანავობებში სამშობლო ენახე, ბევრმა უკვე შემოიღო ქართული და წარმოება ანგარიშისა და საქმისა. სასურველია უცელა ამხანაგობის მოჰკიდოს ხელი ქართულ ანგარიშს. ამაში ძლიერ დაეხმარება ქართულ ს.ს. საზოგადოების მიერ გამოცემული პ. კანდელაკის ზემოაღნიშნული წიგნი, რომელიც მშვენივრად არის შედგენილი და მკაფიო ქართული ენითაა განმარტებული ანგარიშის წარმოება საკრედიტო კოოპერატივებისა. წიგნში ჩატარებულია საკრედიტო ამხან. სავალდებულო ყველა საანგარიშო დავთრის ფორმები, რომლებშიც გატარებულია სანიმუშო ოპერაციები, წარმოება შემოსავალ-გასავლის და სხვა დავთრების პირველ და მეორე წლის განმავლობაში, შეთავება დავთრებისა წლის ბოლოს და თვიური და წლისური

ანგარიშების შედგენა. წიგნში აგრეთვა ჩატარებულია წესები ძირითად თანხის გამოტანის / სახელმწიფო ბანკიდან, მოკლე ვადიანი სესხით სოცებლობისა, საშუალებლო და გირავნობის ქვეშ სტანდარტული გაცემისა და სხვა. გარეგნული წიგნი დამატებული გამოცემული და ლირს ერთი მანეთი, რაც იმ ჩატარება ძირითად, რადგანაც წიგნი კარგი მოზრდილი ტანისაა და შეიცავს 200 გვერდამდე. სასურველია ყველა ამხანავობამ შეიძინონ ეს სასაჩვენელო წიგნი თავის გამგეობის და სიბჭოს წევრთათვის და აგრძელვე გაავრცელოს ამხანავობის წევრთა შორის.

ს. გარეკახელი.

რედაქტორი-გამოცემელი

რ. გაბაშვილი.

მიიღება ხელის მოწერა 1914 წ.

თოვლა კვირა საზოგადო ეკონომიკი

და სალიბატური უშანალ

**კრედიტი-ზედ.**

ფასი წლის ბოლომდება ბო მაური

ცალკე ნომერი ზელგან 10 კაბ.



ერგენტო-მეცნიერებელი სტამბა არ. პ. კერაულიძისა, გაბაევის შესახევი № 1.